

Zoia Tskhadaia

ზოია ცხადაია

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The War and the Narrative of the First Shock in Georgian Poetry

ომი და პირველი შოკის ნარატივი ქართულ პოეზიაში

The wars of recent decades have left an extremely painful mark on historical memory of Georgians. In connection with this, a great deal of significant works of poetry were created in Georgian literature. However, with the outbreak of the Russian-Ukrainian war in 2022, a renewed sense of shock has permeated Georgian poetry once again.

The question was raised on websites if there was such immediacy in Georgian lyrics during the war in Abkhazia? – The answer is no, the technological capabilities at that time were not as advanced as they are today. For very obvious reasons, the war in Ukraine particularly illustrated the impact of the first shock. Modern technologies and the daily online broadcasting of war crimes eliminate the need for imagination because daily tragedies have become clearly visible. Georgian poets have left behind at least one heartbreaking wartime story of compassion.

Reflecting on these turbulent times compels us to look backwards: what authentic and truthful Georgian poetry preserve for us from the First and Second World Wars.

Keywords: Wars, Georgian Poetry, Modern technologies

საკვანძო სიტყვები: ომები, ქართული პოეზია, თანამედროვე ტექნოლოგიები

„იესო მაცხოვარო, რა ჯანდაბაა ეს ომი“.
ერნესტ ჰემინგუეი, „შვიდობით, იარაღო“

უკანასკნელი ათწლეულების ომებმა (ძმათამკვლელმა – აფხაზეთის ომმა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა) უაღრესად მტკივნეული ნაკვალევი დაგვიტოვა სადღეისოდაც და სამომავლოდაც – ისტორიული მეხსიერებისთვის. ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საინტერესო შეიქმნა ქართულ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით: პროზაში, პოეზიაში, სამეცნიერო ნაშრომებში... და მაინც, როცა რუსეთ-უკრაინის ომის პირველ დღეებში (განსაკუთრებით – თებერვლის მიწურულს და მარტის თვეში) ქართულ პოეზიაში, შეიძლება ითქვას, მოზღვავდა ამ ომით მიღებული პირველი შოკის განცდა. ინტერნეტსაიტებში გაჩნდა კითხვა – იყო ასეთი მობილურობა ქართულ ლირიკაში აფხაზეთის ომის პირველსავე თვეებში?.. აფხაზეთის ომში ყველანაირი საშინელება მოხდა. ეს იყო მხოლოდ, რომ სინქრონიულად ვერ აპყვა მოვლენებს ქართული ლექსი (გარკვეული მიზეზით), მაგრამ – მოგვიანებით შექმნილ სულ რამდენიმე (თუნდაც ერთი პოეტის) სტრიქონებითაც

კი შეიძლება თვალწინ დატრიალდეს ის ჯოჯოხეთი: თანამედროვე „საბრალო ანტიგონე“ – „იოდისფერი გვამების სევდით“... „კამანის სასაკლაო“ – „მექსიკური ჰალსტუხის ნასკვით“ და მწარე ვერდიქტი: „ეს ბორცვი აფხაზთა აკლდამაა, / ეს კორდი – ქართველთა სასაკლაო, / მე უკვე შენსავით ავადა ვარ, / შენ კიდევ – ჩემსავით სამკურნალო“ (გენო კალანდია, ლექსების ციკლიდან „რეკვიემი“).

უკრაინის ომმა განსაკუთრებულად წარმოაჩინა პირველი შოკის ეფექტი – თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში – ვიდეო კამერების, დრონების, სატელიტური ფოტოების... საინფორმაციო ომი მობილურებით... ომის ყოველდღიური დანაშაულის გადაცემა ონლაინ რეჟიმში არ საჭიროებს წარმოსახვის აუცილებლობას, პირდაპირ ხელისგულზე დევს ყოველდღიური ტრაგედიები. თებერვლის ბოლო რამდენიმე დღე (24-28), მარტი, აპრილი... პირველი იერიშები, როცა მოქალაქეები ჯერ კიდევ შინ იყვნენ და გაქცევა ვერ მოასწრეს (ოთხ კვირაში რაც მოხდა, იმას მთელი წლების ომი, თვით ჩეჩნეთის ომის საშინელებაც არ შეედრებაო, – ამბობდა თავის სატელევიზიო გამოსვლებში უკრაინის პრეზიდენტი). იმ დღეების ინტერნეტსივრცე, გაზეთები მოიცვა თანაგრძნობამ, შფოთვამ, წუხილმა დაღუპული ადამიანების გამო. როგორც ყოველთვის, მეტი შესამლებლობა ამ მხრივ ლირიკამ გამოიჩინა. შეიქმნა პირველი შოკის ნარატივი, მეტ-ნაკლები პოეტური ხარისხით, მაგრამ გულწრფელობით, ტკივილით, უსაშველობის ტანჯვით, როცა საქმით უმწეო ხარ და, სიტყვიერი ამოძახილის გარდა, არაფერი შეგიძლია. შეიძლება ითქვას, ლირიკამ, ქართულმა ლექსმა, ისტორიის ერთი პატარა და მწარე ფურცელი მაინც დატოვა. ამ შფოთიანი დღეების თვალმიდევნებამ (ამ დროს შექმნილი ლირიკული ტექსტების გადასახედიდან) წარსულისკენ გაგვახედა: რა შემოგვინახა გულწრფელი და მართალი ქართულმა პოეზიამ წინა ომებიდან? როდის, რა სიტუაციაში იწერებოდა ომის ლექსები?... ასეულ ათასობით ქართველი შეიწირა პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა. რასაკვირველია, არ არსებობს მაშინდელი პირველი შოკის ნარატივი და მიზეზიც გასაგებია, მით უმეტეს, პირველ მსოფლიო ომზე, რომელიც ხდებოდა სადღაც, „ჯანდაბის იქეთ“ (ირაკლი აბაშიძე).

საბჭოთა მთავრობამ ეს ომი დაივიწყა და შეუსწავლელი დარჩაო... ისტორიკოსები, სულ ცოტა, 20 ათას ქართველს მიიჩნევენ დაღუპულად. უზუსტობა რომ ავირიდოთ, ფაქტი მაინც ისაა, რომ ძალიან ბევრი არ დაბრუნდა. დუმდა ისტორია. ქართულმა ლირიკამ ცოტა რამ შემოგვინახა ომის სატკივარის შესახებ, რომლებსაც შევახსენებ მკითხველს, მანამ კი გრიგოლ რობაქიძეს მოვუსმინოთ წერილიდან „ლექსები ომზე“ (1914) (Стихи о войне).¹ რობაქიძეს ეს წერილი გამოუქვეყნებია რუსულ ჟურნალში და აკრიტიკებს იმ დროის გამოჩენილ პოეტებს: ვ. ბრიუსოვს, ს. მაკოვსკის, ო. მანდელშტამს, მ. კუზმინს, ბ. სადოვსკის, გ. ივანოვს და სხვ. მათი ლექსები წაუკითხავს ჟურნალ „აპოლონი“ (№67) და ისეთი შთაბეჭდილება დარჩენია, რომ ამ თანამედროვე პოეტების სიმღერაში ომზე უფრო რევოლუციისდროინდელი პოეტების ნამღერი უგრძვნია. ზოგიერთები დუმან და გახსოვდეთ, რომ ასეთ დროს დუმილი ჯობია, ვიდრე აქ მითითებული ლექსებიო. გამონაკლისად ანა ახმატოვას ლექსებს მიიჩნევს,² რომელთა გაცნობა გვარწმუნებს იმაში, რომ პოეტი ქალის სათქმელი ომთან დაკავშირებით ძალზე პირადულია, სწორედ ისაა, რაც და როგორც შეეხო მის სულს, მის განწყობას ამ დღეების სიმძიმე. ეს პირადული გადამდებია და გასაგებია სხვისთვისაც (ასე რომ, სხვა მხრივ, დუმილსაც თავისი ფასი ჰქონია, ალბათ, გამოუთქმელ ტანჯვას ინახავს)...

ქართულ პოეზიაში პირველი ვაჟა-ფშაველაა, რომელიც ლექსში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ (1914 წ. 10 დეკემბერი) ომში გაწვეულ, დაჭრილ, უკვე მორჩენილსა და კვლავ საბრძოლო განწყობით შემართულ ფშაველ ჯარისკაცს დედისადმი გამოჰზავნილ წერილში ათქმევინებს:

¹ გრიგოლ რობაქიძე, 2012, ნაწერები, დრამატურგია და პუბლიცისტიკა (ლიტ. მუზეუმის ნაწერები), წიგნი II, თბ., 1012, გვ. 628-629.

² „Утешение“ – 1914; „Памяти 19 июля“ – 1914 და სხვ.

გულ-მჯერდომც აგიყოფდება,
დედაო, ია-ვარდითა!
თვალებს ნუ ითხრი ცრემლითა,
გულს ნუ ისერავ დარდითა!
ვინც დავიჭერნით, გამოვრჩით,
კიდევ ცოცხლები დავრჩითა,
ხვალ ისევ ომში გვიწვევან
გაკვირვებულნი გარჯითა...

საინტერესოა ფშაველის ჯარისკაცის (პოეტი) დამოკიდებულება ამ ომში „გარჯისათვის“. მას ეს საქართველოს შველადაც მიაჩნია, უნდა, საკუთარი „ჯანის და სიცოცხლის“ ფასად მოიპოვოს ეს ყველაფერი:

სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა.

ასეთია ვაჟას დამოკიდებულება ამ დიდ ომში ქართველების ჩართულობაზე.

ერთ-ერთი ლექსი (შესაძლებელია – ერთადერთიც) პირველ მსოფლიო ომში ქართველი მეომრების ტრაგიკულ ხვედრზე რომ მიანიშნებს, ქართულ პოეზიაში იროდიონ ევდომვილისაა; ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ სრულიად შეცვალა ევდომვილის დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატებთან, „ესდეკ“ ინტელიგენციაცთან, როგორც იგი უწოდებდა. ამიერიდან, რევოლუციის ტრიბუნის პოეტი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამგლოვიარო სევდას“ მიეცა და სოციალ-დემოკრატებთან მიმართებით აშკარად გადახედა თავის იდეოლოგიას, თუმცა, ბოლომდე უერთგულა ტანჯულთა ყოფას. ამიტომაც არ გამორჩა მის თვალთახედვას, მის გულისყურს პირველ მსოფლიო ომში გაწეული (იქნებ, დაღუპული) ჭაბუკების უპატრონოდ დარჩენილი სახლ-კარი, ოჯახის ტრაგიკული ყოფა – ტიპური სურათი იმდროინდელი ქართული სოფლებისა. ლექსში „დედა“ ფერწერულად, თოვლიანი პეიზაჟის დიდებულ ფონზე, ისახება ომისგან სიცოცხლეჩამქრალი სოფელი. შეიძლება ითქვას, ეს გამორჩეული ლექსია პოეტის შემოქმედებაში და, როგორც ვთქვით, ქართულ პოეზიაში – იშვიათი თემატურად.

გადათეთრებულ, გათოვლილ ქედზეც
სასაფლაოს ჰგავს მკვდარი სოფელი,
მოდუშულია და სევდიანი,
ვით აჩრდილების რამ სამყოფელი.

უმოქმედო, მიტოვებული ნამგალი და გუთანნი, არც ჯეჯილი თოვლქვეშ... ბრძოლის ველზეა „მათი პატრონი და ამხანაგი“, „კერაჩამქრალი“ ქართველი დედა კრავს ტექსტის სევდიან ფინალს (კითხვის ნიშნით: სად, ვის ომში იხოვებლდმემ შვილები?):

თოვს ნელა-ნელა, თოვს და სუდარა
ნელ ნელ იშლება ძირს სოფელზედა,
სტირის, ოხ, სტირის ძაძებანი,
კერა ჩამქრალი ქართველი დედა.

ბევრი ასეთი ჩამქრალი კერა და ძაძებიანი დედა მიივიწყა ჟამმა და ისტორიამ. ეს ერთი გამო-ნათებაა იმ მწუხარებიდან.

კიდევ ერთი ლექსი პირველი მსოფლიო ომის თემაზე ირაკლი აბაშიძისა „გადარჩენის ბალადა“ (1931 წ.).

„უფროსების პირველი სიმღერა, რომელიც მეხსიერებაში ჩამრჩა, იყო იმერული სიმღერა „სდალობამ მიწია“... ხოლო უფროსების პირველი ტირილი, რომელიც აგრეთვე დამამახსოვრდა, იყო ომში დაღუპულთა შეცხადება მეზობლებში“... ბავშვობის ეს მტკივნეული შთაბეჭდილებანი უდევს საფუძვლად „გადარჩენის ბალადას“ (ცხადაია, 1986, გვ. 7). მასში პოეტმა შენახული სევდით წარმოსახა ომში დაკარგული ჭაბუკის ოჯახის ტრაგედია, ბავშვის მეხსიერებაში დარჩენილი შემზარავი სურათი. ტექსტის ემოციურ ზემოქმედებას აძლიერებს გმირის კონკრეტული სახელი „მიქი“:

მსოფლიო ომში,
თათრების ფრონტზე,
ტრაპეზუნდის თუ ჯანდაბის იქეთ,
მოყვარე, ჩვენმა ოჯახის მომსწრე
დაჰკარგა ვაჟი – ოცი წლის მიქი.
ვის მიწას შერჩა, რა ქვეყნის ლოდებს,
ან ჭაბუკს მკერდი ვინ დაუკოდა?
სოფელში გზირმა აცნობა მშობლებს,
რომ გაჰქრა ვაჟი უგზო-უკვლოდა.

1941 წლის 22 ივნისიდან, როცა ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, საქართველოც, როგორც საბჭოთა კავშირის ნაწილი, ამ ომში ჩართული აღმოჩნდა. ქართული მწერლობა გულგრილი ვერ დარჩებოდა საერთო განსაცდელის მიმართ, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ იგი ამჯერადაც იდეოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. პარტია და ხელისუფლება პარტიის „ახალ ამოცანებ“ სახავდა, რომ საბრძოლო ლექსით უნდა გამოსულიყო მწერალი გაზეთების ფურცლებზე, წარმოებებში, კოლმეურნეობებში, წითელი არმიის ნაწილებში... სოციალისტური სამშობლოსთვის თავდადების ცეცხლით აღინთოს ყოველი საბჭოთა მოქალაქე“ („ლიტერატული საქართველო“, 1941, 10.VII). 23, 24, 25, 26 ივნისს უკვე გამოჩნდა „დაკვეთის“ შესაბამისი ლექსები (ა. აბაშელი, ა. მირცხულავა, გ. ტაბიძე...). 25 ივნისს გალაკტიონი წერს ლექსს „სიცოცხლეო, მამულო“:

„სიცოცხლეო, მამულო! მძაფრი, არაფარული, / შვილთა შენთა ხმამაღლა სთქვან შენი სიყვარული“, – ასე გამოხატა თავისი პირველი ემოციები დიდმა პოეტმა, სადაც მაინც დეკლარაციული პათეტიკა სჭარბობს პოეტურ იმპულსს. ამას მოჰყვა „ჰე, მამულო“ – პატრიოტული გრძნობის ახლებური, დროის ადეკვატური გააზრება: სამშობლო, გმირი, მოვალეობა... ომის დაწყებიდან ერთ თვეში გამოიცა ქართველი პოეტების კრებული. მალე გამოჩნდა თანამედროვე გმირთა კონკრეტული სახელები, ოპტიმიზმით, ამაღლებული განწყობით, გამარჯვებისათვის. ეს იყო აუცილებლობა ამ ტექსტებისათვის. აქ შეუძლებელია არ გაჩნდეს კითხვა, რამდენად გულწრფელი არიან პოეტები, არა იმიტომ, რომ გამარჯვების სურვილში შეგვაქვს ეჭვი, არამედ კვლავ პოეტურ იმპულსში, რომელიც ამ ტიპის ლექსებს წარმართავს...

დავუბრუნდეთ ჩვენს თანამედროვე ისტორიას, რუსეთ-უკრაინის ომის პირველი დღეების გამოძახილს ქართულ ლირიკაში. ჯერ კიდევ 2022 წლის 24 თებერვლის გათენებამდე, როცა უკრაინის რადა საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონს იხილავდა, უკრაინის სახალხო პოეტმა რაულ ჩილაჩავამ ლექსი დაწერა კიევში და ფეისბუქზე გამოაქვეყნა (4 მარტს კი ლექსი გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა), – სწორედ პირველი შოკი, „რადგან „ქონდრის-კაცის მუქარა დუღდა ზარბაზბის ლულიდან“... 24 თებერვლის ტრაგიკული დილის სურათი კი იწერება გზაში, როცა პოეტი ტოვებს კიევს, როცა ათასობით მანქანებისა და უმწეო ქვეითების კოლონაში გადაკვეთს უკრაინის საზღვარს:

ჩვენ ვტოვებთ ნამყოს, ვტოვებთ აწმყოს; ვტოვებთ მყოობადს
და მიგვაქვს მხოლოდ თავს დამტყდარი რისხვის მტევნები...

24 თებერვალს ბესიკ ხარანაული ფეისბუკგვერდზე ავრცელებს უკრაინელი ხალხისადმი თანაგრძნობის ემოციურ სათქმელს: „ვარსკვლავი ბევრი ანათებს, ზოგი უფრო ბრწყინავს, დღეს ხალხებში მთავარი ხარ, ყველას უკრაინა!“ პოეტისთვის ეს უეცარი ელდა ძალიან ნაცნობი და საზიარო აღმოჩნდა, ორმაგად საზიარო: გადატანილის, განცდილის და სამამულო თავსატეხი კითხვითაც: „ომი რომ მორჩება, ჩვენ სად ვიქნებით?.. როგორ და საით წავა ჩვენი გზა, როგორ მოვევლება ამ ბოროტებას?.. ამ შფოთვიან კითხვებს უჩენს პოეტს უმძიმესი რეალობა, მაგრამ ახალ ტექსტში „რუსო“ თითქოს ამ კითხვის პასუხიც გამოჩნდა (იმედმა გაიელვა), რომ უკრაინის განსაცდელმა, „გაჭირვებამ დედამიწის ხალხები ახლობლები გახადა“, რომ ეს ძალა „გაახმობს მტრობის ხეს“... დიდ ერებსაც უნდა ახსოვდეთ, რომ არავინაა უძლეველი:

დიდო ერებო!
ნუ ჩაყლაპავთ პატარა ხალხებს.
ვაითუ, რომელიმე იყოს აღმასისა...
ჩემი ქვეყანა აღმასია,
მწიფე ვაზივით მიმზიდველი აგრესორისთვის,
ყელზე დაგადგებათ.

ვანო ჩხიკვაძის 27 თებერვალს დაწერილი ლექსი „ომი“ 4 მარტს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა: „სადღაც წვიმა და... სადღაც თოვლი და...“, – თითქოს პირველი თოვლის მოსვლა უნდა გგახაროს პოეტმა, ლექსის ისეთ საზომს და რიტმს მიმართავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის, ავის მაუწყებლად ჟღერს სათქმელი.

სადღაც წვიმა და...
სადღაც თოვლი და...
უკრაინაში ომი მოვიდა!

უკრაინის ტრაგედია, საკუთართან ასოცირებული, მშობლიური ისტორიის გადასახედიდან, რიტორიკულ კითხვად გაჟღერდება (აღმოხდება)... როგორც იტყვიან, ცხელ გულზე, „ცხელი გულით“.

ხმალი ვიქნიე,
ფარი ვიქნიე,
ტანჯვის ემბაზში სისხლმა გამბანა.
თქვი, უკრაინავ, შენი იღბალი
ჩემს ბედიწერას რამ დაამგვანა!

უმძიმესი იყო უკვე ომის 3-4 დღის ნაკვალევი, „აქოთებული პანდორას ყუთი“ ნაკურთხ მიწაზე, „ავსულთა ჯილაგის ღვარცოფით“... საზარელი კადრები ყოველ წუთს... ჯერ კოვიდის შიში არ გამქრალიყო სრულიად სამყაროში და „სადღაც ხარები ხნავენ კორიდას, / ჩაცხრა, წავიდა ცოფი კოვიდის, / სამაგიეროდ, ომი მოვიდა!“.

1-ელ მარტს რატი ამაღლობელის ლექსს ვკითხულობთ ფეისბუკგვერდზე. ელდა, შოკი, რაც უკრაინის ომს გამოუწვევია მასში საქართველოს ტრაგიკულ წარსულს ადვიდებს, ბოლშევიკური რუსეთის „ნახელავს“ – კოჯორს, ტაბახმელას: „სუსხიანი ქარიშხალი / ძრწის ასი წლის წინანდელი, / არ დაუთმო რუსის ჩექმას / სალხინო და წინანდალი...“ იგივე განწყობა იკითხება რატი ამაღლობელის მომდევნო ლექსში „კვეთებული“ – მწვავე, ხმამაღალი. ასეა, „როცა ბოროტი გყავს მეზობელი“. საკმაოდ ვრცელი ტექსტის ფინალი, საგანგებო მრავალწეტილით გამოყოფილი, უფლისადმი ვედრებაა:

ღმერთო, განკურნე და მოარჯულე
შარაგზის ავაზაკი მეზობელი.

სათქმელი დროს მოაქვს. დრო კი უღმობლად თენდებოდა და ღამდებოდა. დაღუპულთა შორის მრავლად იყვნენ ბავშვები, ნაწამები ბავშვებიც. ვანო ჩხიკვაძის „თოჯინას გაფრთხილება“ იმ შემზარაობის ანარეკლია, რომელიც მთელმა მსოფლიომ იხილა:

ფრთხილად, მსოფლიო!
ხვალაც იბარტყებს,
ვინც ძალადობას
ძეგლი დაუდგა,
ღმერთო, შენ მაინც ჰკითხე პილატეს,
ბავშვებს ძმათამკვლელ ომში რა უნდათ!“

არადა ბავშვების ტრაგედია, ხილულად, თვალნათლივ ტრიალებდა ეკრანებზე. ბავშვები კონკრეტული სახელებით: შვიდი ტყვიით განგმირული 6 წლის მაქსიმი („ნუ გემინია დედა!“, ზ.ც.), ობლად დარჩენილი პატარა გოგონა, რომელმაც მარცხენა ხელი დაკარგა და ექიმები აიძუდებენ, რომ მოხატულ, ვარდისფერ პროთეზს მოუტანენ („სევდიანი ოცნება“, ზ.ც.), სრულიას პატარა გოგონა, რომელმაც გულზე ვედრების ტექსტი აწერია:

ღამე დედის გულს ჩამახუტე უშფოთველ ძილით,
„სირენის ნაცვლად გამაქვდი მოს „диного ранюм“,
გაამლიერე, ღმერთო, ჩემი ერი და ბერი,
დახურე ზეცა უკრაინის! გაქვავდეს მტერი!
(2022. III. ზ.ც.)

ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ორასამდე ბავში დაიღუპა. გიორგი კეკელიძეს, კონკრეტულად, 176-ე ბავშვის ბოლო ამოსუნთქვა დააწერინებს უსამართლობის, საკუთარი (ზოგადად – ჩვენი) უმწეობის შეგრძნებით გამწარებულ სათქმელს:

176 ბავშვი დაუღუპა ამ ომში.
თითო ბავშვის ბოლო ამოსუნთქვა
არის ჰაერი,
რომელსაც ვსუნთქვით და არაფერი შეგვიძლია.
თითო ბავშვის დახუჭული თვალი არის ღამე,
რომელშიც ჩავრჩით და
ერთმანეთს ამაოდ ვეძებთ.
(„176 ბავშვი“)

კონკრეტულად მარიუპოლის მასობრივი დაბომბვის უმძიმესი შედეგი გამხდარა კატო ჯავახიშვილის გულწრფელი შეშფოთების და მოურიდებელი მიმართვის ინსპირაცია. მიმართვის ობიექტი – რუსი ჯარისკაცის დედა, რომელმაც შვილი სასაკლაოზე გაუშვა და ოდნავი პროტესტის ნიშანიც რომ არ ეტყობა (უსათაურო, 17.III).

მარიუპოლის ტრაგედია 16 მარტს დაიწყო, როცა დაბომბეს მარიუპოლის დრამატული თეატრის შენობა, რომელსაც ბავშვები, ორსული ქალები და მშვიდობიანი მოქალაქეები აფარებდნენ თავს. თეატრის წინა და უკანა მხარეს თეთრი ასოებით ეწერა „ბავშვები“. 17 მარტის ინფორმაციით, თავშესაფარში მყოფები სასწაულებრივად გადარჩნენ ტრაგედიას. „მარიუპოლის თეატრის სარდაფში ყოფილხარ, ღმერთო!“ – შვების ამოსუნთქვად გაჩნდება გიორგი ლობჯანიძის ლექსი „ადა-

მიანი ოდესღაც... დაბომბვამდე“; მალე კი, მარიუპოლის საქალაქო საბჭოს ცნობით, გაცხადდა, რომ თეატრის დაბომბვის შედეგად დაღუპულა 300-მდე ადამიანი, მათ შორის – ბავშვებიც.

„კალოუზანი, მარიუპოლი, ორი ეპოქის ორი ობოლი“, – ამ ფიქრს აღძრავს ვანო ჩხიკვაძის ამ ლექსში ძველი, საკუთარი ქვეყნის, კარმოდ, კალოუზნის (მე-17 ს.) ისტორია იღვიძებს: „ძველი ტკივილი რად გააღვიძე, მარიუპოლი, მარიუპოლი!“ – „ბუჩა... სახლი... ეზო... ქუჩა... / მოფენილი არის მკვდრებით / ქართულ გაგრას მოჰგავს ქუჩა, / ჯოჯოხეთის მოწმე ვხდებით“, – წერს ჯემალ ინჯია (14. III). ეს ყველაფერი აღუძრავს ძველ, მოუშუშებელ იარებად დარჩენილ ხოლვებს... 16 მარტს იგი აქვეყნებს ლექსს „ცა მაპოვნინე“...

იბომბებოდა საბავშვო ბაგა-ბაღები, სკოლები, სამშობიაროები... იხოვებოდნენ დიდები და პატარები. ისევ ჯემალ ინჯია: „ბარბაროსი დაურქმევია მას ამის ჩამდენ არსებებისათვის: „ბრვე რუსმა მოკლა ფეხმძიმე ქალი, რომ ჰქონებოდა, არავის ახსოვს, ქალის წინაპრის სკვითების ვალი“ ... (24.III)...

მარიუპოლის ტრაგედიაშემადგენელ ფაქტორებს შორის უნდა აღვნიშნავთ, ზოგადად, ყველაზე ახალგაზრდა პოეტი თემო ჭახრაკია ამ განცდების თანაზიარია, თავისი წუხილით, სულით და გულით... შემრული უფლისგან მიტოვებული ადამიანების, ბავშვების ხვედრით:

ვინ მოსრავს ბავშვთა კვალზე დაგეშილთ,
თითქოს აღარად არის უფალი.
თავისუფლება ჰყვება ნანგრევში
ჩერნიგოვის და მარიუპოლის.

ბათუ დანელიას „სიზმრად კიევში“ (9.III) ცხადად ხილულის ისეთი წარმოსახვაა, როცა თავი გინდა დააჯგრო, რომ ეს სიზმარია, საზარელი კომმარია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო, როცა ცხოვრება გეზიზღება, სიცოცხლე არ გინდა, რადგან უმწეო ხარ – მხოლოდ შენი ტკივილის ამოთქმის ანაბარა:

დაბომბილ კიევში დავდივარ ლანდივითდა
კიეველებისთვის ღმერთისგან გრანტიმინდა.
გრანტი კი არის ხსნა. შველა და დახმარება,
რომ კიევს სახე კვლავ გადაეცეს ბალნარებად.

დიანა ამფიბიადის სულისშემძვრელ წარმოსახვებში მოუყრიათ თავი ნატანჯ-ნაწამებ ბავშვებს, ქალებს, პურის რიგში დახვრეტილ კაცებსა თუ ველოსიპედიან მოხუცს, ტყვია ზურგში რომ წამოაწიეს: „აღსდგა მკვდრეთით ოთხი წლის საშა“ (მთელი თვე რომ ეძებდნენ და დახვრეტილი ბავშვი საფლავში იპოვეს, ზ.ც.), 9 წლის უცნობი გოგო, / 12 მხეცის დაგლეჯილი“... „აღსდგა მკვდრეთით ჩემი გაგრელი ნათესავი, / მოხეხებულად მოაგორებს თავის თავს, კენწლავს“... მაგრამ ეს „აღდგომა“ ტრაგიკული ხილვების ირონიაა... იქნებ, უფლისადმი: „ოღონდ არ შეგრცხვეს, არ დაიძლიო, შენც აღსდექი, უფალო, მესამე დღეს, ანდა თუნდაც ერთი თვის თავზე, მსგავსად წერილის“...

ემოციურ და გულწრფელი თანაგრძნობის გამომხატველ ლექსებს აქვეყნებენ ომის პირველ დღეებში მზია ხეთაგური, სოფო წულაია, ქეთევან ნათელაძე, თინათინ მღვდლიაშვილი. რაულ ჩილაჩავა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტად, ყველაზე ხშირად გამონდა განსაკუთრებული წუხილით. 26 მარტს კი დაიწერა მისი „Слава Україні“, იმავე თარიღით გამოქვეყნდა მისი იმედიანი განწყობი გამომხატველი ლექსი. უკრაინელთა განსაკუთრებული შეუპოვრობა იძლეოდა იმის საფუძველს, რომ „მალე გამოიდარებს და / გული გადაიყრის ნაღველს“...

26 მარტის ბრძოლები, ახალი სამხედრო დახმარებით და უკრაინელთა სიმამაცით მიღწეული უპირატესობა რწმენით და უკრაინელი ხალხის გამარჯვების იმედით განაწყობს თემო ჭახრაკიას:

ტყდება რუსეთის ბაირაღს ტარი
და უკრაინის ფრიალებს დროშა,
ჯაველინით და ბაირაქტარით
უკრაინელნი გიჩვენებთ კოშმარს.

ე.წ. რუსული „სპეცოპერაცია“, წესით, მალე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ეს ნამდვილი ომი იყო – სასტიკი და დაუნდობელი. „არც ერთმორწმუნე, არც ღმერთმორწმუნე, / პირიქით – უფლის მგმობი, – წერს უსათაურო ლექსში რაულ ჩილაჩავა (22.III.). ასეთ დროს პოეტისთვის ერთადერთია ნატვრა, სურვილი იმისა, რომ მალე იხილოს მტგრის დამარცხება:

სანამ ბოლომდე არ გაულეწავს
სიკვდილს სიცოცხლის კალო,
მის დამარცხებას ვუმღერი ოდას,
მის დამხოზაზე ვგალობ.

2022 წლის უმძიმესი მარტიც მიიღია, უკრაინისთვის უმძიმესი აპრილი დადგა, მაგრამ „ადარ მოვიდა გაზაფხული“, – ამ განცდით დაიწერება მურად მთვარელიძის ეს ლექსი, ადამიანური თანაზიარობის გამომხატველი.

საქართველოდან უკრაინის ომში წასულ მებრძოლთა შორის დაღუპულთა გვარ-სახელებმა იმატა. „ვნახე კადრები, რომ მოასვენებდნენ ჩვენს ბიჭებს, – წერს ბესიკ ხარანაული... სანთელს უნთებდნენ... ის სანთელი მე ვიყავი, მე და მინდოდა იქ დავმწვარიყავი“...

ეს არ არის სრული სურათი იმ პირველი დღეებისა... ვფიქრობთ, ქართულმა პოეზიამ, ქართველმა ხალხმა განსაკუთრებულად მიიტანა გულთან უკრაინის ტრაგედია, როგორც ერთ ბედქვეშ მყოფთა ჭირი.